

დ რ თ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 249

კვირა, 8 ნოემბერი 1909 წ.

დამატების № 44

უკვლავების ხე

(გეგენდა — მოთხრობა)

767

ის იყო დებორეს მთელი ოჯახი ძილს აპირებდა და რაბი ტანისამოსს იხდიდა მისთვის მიჩენილს პატარა ოთახში, რომელიც დებორეს სუფთად დაემზადებინა ძვირფასის სტუმრისათვის, რომ შემოიქრა ივლითი პატარა თიხის სურით ხელში. მისალმების შემდეგ ივლითმა მოიკიხა რაისა და საჩქაროდ მიაშურა იმის ოთახს. რაისა უკვე ლოგინში იწვა და სთვლემდა. მხოლოდ ივლითის დასახვედრად და გადაეხვია.

— ასე გვიან რათ მოხვედრი, ხომ კიდევ დღის სულით მიიღე ჩემი ბარათი, შე ცელქო, შენა? — მიახლო საჩქაროდ რაისმა საყვედური ივლითს.

— არ შემეძლო, გენაცვა, თორემ ვანა ადრე არ მოვიბრუნდები! ხომ იცი, სანამ ვახშამი არ დავამზადე, სანამ ჩემი მოხუცი არ დავაპურე და არ მოვასვენე, თავი ვერ დავაღწიე. და ვანა ეხლა კი ისე გვიან არის, რომ რაბის ვერ ვინახულებ? ეს ხომ შეუძლებელია? რაც უნდა ვახდეს, ეხლავე უნდა ვნახო და მოველაპარაკო, თორემ ხვალ დილაადრიან მაგას აი იმ მთის ძირში მოელის ხალხი და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ მიემგზავრება. მერე როდისღა უნდა ვნახო?

— მაშ მიდი და მოელაპარაკე. ის პატარა ოთახშია. ეზოდან თუ მოუვლი, თორემ, ხომ იცი, აქედან შესავალი არა აქვს იმ ოთახს.

ივლითი ქურციკივით წამოხტა, სურა თან წაიტანა და თვალის დახამხამებაზე მიადგა რაბის ოთახის კარებს.

— მე ვარ, მე ივლითი... ცოტა სუნნელოვანი ზეთი მოვიტანე შენ ფეხთაქსამელად — წაილულულულა ივლითმა და შეიქრა რაბის ოთახში.

რაბიმ ფეხზე წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ ივლითი დაეშვა მის ფერხთა ქვეშ და საჩქაროდ მოხსნა სურას თავი. სანამ ის ფეხებს დაუხედა რაბის, მათ შორის გაიმართა ნახი სასიყვარულო მუსიიფი, საი-



ფრ. შილერი,

შესანიშნავი გერმანელი დრამატურგი. ოქტომბერში შესრულდა 150 წელიწადი, რაც შილერის დაიბადა. გერმანიაში დღის ამბით აღნიშნეს ეს დღე. შილერის ტრაგედია „ყაჩაღები“ არა ერთხელ წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე. შილერის ნაწარმოებთაგან ქართულად გადმოთარგმნილია კიდევ „ორლენელი ქალი“. თარგმანი ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის.

დანაც სჩანდა, რომ რაბისა და ივლითის პატარაობიდანვე ჰქონიათ მეგობრობა და ერთმანეთის სიყვარული. ფეხების დახველვის შემდეგ ივლითმა გაიწმინდა ხელები კაბის კალთებზე და ცოტაღა დარჩენილი ზეთი მიიტანა რაბის სასთუმალთან თავზე წასასმელად. თავიდან წვერულვაშებზე გადაიტანა მან თავისი ზეთიანი მარჯვენა, რომლითაც გადუგრინა კაპწია უღვაშები 22 წლის რაბის და თან დაემხო საკოცნელად მისს გაშლილს, მაღალ შუბლს.

ეს პირველი შემთხვევა იყო რაბის ცხოვრებაში. ჯერ მას არ გამოეცანა ქალის ტკბილი ალერსი და სიყვარული, თუმცა ეს უკანასკნელი მცნება იყო ქვაკუთხედი იმის სწავლა ქადაგებისა. მხოლოდ ის სიყვარული იყო არა კერძო კაცთა და

ქალთა შორის, არამედ დიდი რამ მცნება, რომელსაც უნდა მოეცო მთელი კაცობრიობა და უფრო მეტი, მთელი ქვეყანა, იმ სიყვარულში, რომელსაც დღემდე ქადაგებდა რაბი, გამოიხატებოდა მხოლოდ ბავშვური, გულუბრყვილო მცნება მოყვასის თავგამოდებითი პატივისცემისა, სამსახურისა, სიყვარულისა. ეს გრძობა კი რაღაც კერძო ხასიათისა აღმოჩნდა. ამ ალერსში მან ჰპოვა რაღაც პირადი ბედნიერება, რომელსაც ის ვერ განუზიარებს სხვებს, თავისს მოყვასს. მხოლოდ ეს უკანასკნელი გრძობა იმდენად მძლავრი ვახდა, რომ რაბიმ მას თავი ვერ დაახწია და დევიწყებას მიეცა... ივლითი თავს ევლებოდა დიდის ხნისთვის სატრფოს და აღფრთხილებული მედიდურობა იმით.

— შენ შემოგველოს ჩემი თავი, ჩემო სულო, ჩემო სათაყვანებლო! შენ ხომ ამიერიდან ჩემთვის რაბი არა ხარ, შენ ჩემი საყვარელი ამხანაგი ხარ, ჩემი ძვირფასი შიშო! — ასეთი იყო რაბის სახელი.

შიშოს ვერ მოეხერხებინა ენით ალერსი, თუმცა იგი უკვე დიდი მჭერმეტყველი რაბი იყო, და მხოლოდ ხელეობით ეალერსებოდა თავის სატრფოს. რაბის თითები ივლითის თმის ძირებს ევლებოდა და ტუჩები მის სახეს ჰკოცნიდა, — ეს იყო რაბის მჭერმეტყველობა, ეს იყო იმის ალერსი იმ

დროს, როცა ივლითის ენა შადრევანით დაუდგარად აღერ-
სობდა, მუსიკობდა.

დრო კი მიდიოდა. შუალამეს გადასცილებოდა. იმის
წინსვლას არა უდგება რა წინ, ვერც სიყვარული და ვერც
სიძულვილი. იგი ერთნაირად გულგრილი მოწამეა სიყვარუ-
ლისა და სიძულვილისა კარგისა და ავის, დიდისა და მცირე-
რდის, სიკაცხლისა და სიკვდილის, რადგან ყველა ეს
წარმავალია და თვით კი დაუსრულებელი.

მაისი იდგა. დებორეს სახლი, გამწვანებული, ხევის
მალლობზედ იდგა. იქვე, ქვევით პატარა მდინარე ჩამოჩუხ-
ჩუხებდა, რომლის ხმაურობა ნელი ნიავის შრილოთან ერთად
შეხვედრულიყო ხეხილის ყვავილებისა და ია-ვარდის სურ-
ნელოვანებასთან. ფშვინის და სმენის სიამოვნებაც გაერთებუ-
ლი იყო, ორივე ერთნაირად ტკბილი, ერთნაირად ნერვების
გამღიზიანებელი. ცა ვარსკვლავებით მოქედლიყო. ეს შო-
რეული მნათობნი ისე მხიარულად კაშკაშებდნენ, გგონე-
ბოდათ, ზეცას მეჯლისი გაუშართავსო. ძილდამურთხალი რაისა
გულისთანკვალით მოელოდა ივლითის დაბრუნებას, შიმოს
ნაამბობის გაგონებას, ივლითის სიხარულის გაზიარებას.
კიდევ რამდენიმე ხანი და ივლითიც შემოიქრა, მაგრამ არა იმ
სახით, როგორსაც რაისა მოელოდა, იგი თითქოს დარცხვენ-
ნილიაო, ისე გამოიხედებოდა, და არც კვლავ-ნდებურად
გულწრფელად მოექცა ის თავის გულითად მეგობარს.

— შენ კიდევ გღვიძავს? ძილის დროა. შენ დაიძინე და
შეც უნისაკენ გავერგზავრები და ხვალ ყოველივეს გაამბობ,
— უთხრა ივლითმა მეგობარს, ჩაჰკოცნა და გაუჩინარდა.

ალიონის სუნი იდგა. შიმოს კიდევ არ ეძინა და არც
ეძინებოდა. იმის თავში საოცარის სისწრაფით ელავდნენ
აზრები. ამ აზრთა სრბოლას თითქოს ხმაურობა გაჰქონდა,
შიმო ტვინის მოძრაობასა გრძნობდა. ამ დილით ის მიწვე-
ული იყო სხვა და სხვა საკითხის ასახსნელად, რომელიც
აღელვებდა ამ კუთხის მკვლავებით. შიმომ კარგად იცოდა
თავის ქვეყნის ყოველი კუთხე, იცოდა, სად რას ჰფიქრობ-
დნენ და ვის რა აწუხებდა. ამ კუთხის მკვიდრნი შეძლებულ-
თაგანნი იყვნენ. მათ მოსავალი კარგი ჰქონდათ და გაჭირვე-
ბას არა სცნობდნენ. მათ მხოლოდ საღმთო სჯულის საკი-
თხები ეხალისებოდათ და, რადგან შიმოს შეხედულობანი
ბევრად განსხვავდებოდა სხვების რწმენისაგან, რაც აქამდე
მიღებული იყო, ამისათვის თვით შიმოს პირიდან უნდოდათ
ახალი სწავლის გაგონება. ეს სურვილი მით უმეტეს კანო-
ნიერად მიაჩნდათ იმათაც და რაბისაც, რომ უკანასკნელი
თვით ამ კუთხეში იყო დაბადებული და 15 წლამდე აღზდი-
ლი. ბევრი მათგანი რაბისთან ხშირად ყოფილა, უსმენია
მისი საუბარი, მხოლოდ არა საჯაროდ.

იმ დროის ჩვეულებისამებრ დედაკაცები სოფლის ყრი-
ლობაში არ ერეოდნენ. მაშინდელ მამაკაცების დესპოტობა
დღევანდელზედ არა ნაკლები იყო... როგორც დღეს, მაშინ-
ნაც დედაკაცებისაგან შეტოდება სამაკვდინო ცოდვა იყო,
მხოლოდ მამაკაცებისაგან — არავითარი. რაბის წარმოდგე-
ნაში ეს უმაღლესი უსამართლობა იყო. ის ერთგვარად სჯი-
და ადამიანს სქესის განურჩევლად. მხოლოდ ამ საგანში იმას
თანამოაზრენი ქალების მცირედ ნაწილში ჰყავდა, ისიც ვისა-
თხოვრებში, რომელთაც ამაზე საუბარი მამაკაცთაგან სმენიათ.
დედები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ შიმოს ამგვარს მოძღვრე-
ბას და ხშირად მამაკაცებსაც აჯარიმებდნენ.

ამ ლამის ამბავი მით უფრო უღელვებდა ტვინს შიმოს,
რომ ამ საქციელის მთელი პასუხის მგებლობა მართო ივლი-
თის აწვევობა კისერზე. მაგრამ შიმო რაღა რაბი იყო, რომ
ეს ცეცხლი არ ჩაექრო თვისის ლოდიკის სიმძლავრით? შიმო
ისე ადვილად იმორჩილებდა სჯა-ბაასის დროს მოპირდაპირეს,
ისე ჩაკმენდინებდა ხმას, რომ ჰფიქრობდა, ქვეყანა დავაჯე-
რე ჩემს რწმენაშიო და რადგან დღითი-დღე ის სოფლიდან
სოფლად დადიოდა, აუდიტორიას იკვლიდა, ყველგან იმარ-
ჯებდა, ამიტომ ვერა ხედავდა, რომ იმის წასვლის შემდეგ
ქვეყანა ისევ ჰფიქრობდა და მოქმედობდა, როგორც ადრე.

შიმო განყენებული მოაზრე იყო. ცხოვრებას უმორჩი-
ლებდა თავის ფილოსოფიას და არა წინააღმდეგ. იმის ქადა-
გება თუმცა ხიბლავდა მსმენელთ თავის ქეშმარიტებით, ცხოვ-
რებას განზე ედგა, ამას ისე ვერ ამჩნევდა და არც ეცალა

ამისათვის. შიმოს ტვინი მუდამ მოძრაობდა, იმის
ცხოვრება მუდამ განკერძოებული იყო. ეს შემთხვევა ივ-
ლითისთან პირველი იყო, როცა ის ძირს დაეშვა სხვების-
თვის მიუწოდებელს სიმაღლიდან. ეს იყო მისი პირველი ნაბი-
ჯი მიწიერ ცხოვრებიდან. მას წარმოუდგა თვალწინ ივლითის
მომავალი. იმის განყენებულის აზრით, ეს მოვლენა არაფრით
განსხვავდება სხვა ამ გვარსავე მოვლენისაგან ცხოველთა
ცხოვრებაში, მხოლოდ ამ უამად, ამ საზოგადოებაში კი სხვა
ელფრი და მოვალეობა აწვა კისერზე ამ საკითხს, რამაც
ქენჯნა დაუწყა შიმოს სინილისს, მის წარმოდგენათა სრბო-
ლას.

ივლითის გუშინდელი საქციელი რაისას მოსვენებას არ
აძლევდა. რას მიქვიან ძილი და მოსვენება ამისთანა წამში,
როდესაც უფრო მცირე შემთხვევაში შე და ივლითის მთელი
ღამეები გაგვიტენებია? — ფიქრობდა რაისა და ამ ფიქრებით
გატკბული თვით ეს ჩუმრა ივლითის.

ივლითი ხელსაქმობდა. დაადო ხელსაქმე და გადაეხვია
თავის გულითად მეგობარს, მაგრა მიიქრა გულზე და კიდევ
დარცხვენილსავით თვალს ვერ უსწორებდა რაისას.

— რა მოხდა, ქალო, რამ ჩავაფიქრა ამრავად? — შეე-
კითხა რაისა ივლითს.

— ვერ გაამბობ ასე ადვილად, რაც მოხდა, ჩემო კარ-
გო. დრო უნდა ყველაფრის დალაგებით თქმასა და მოცალე-
ობა. დამაცადე, თუ გიყვარდე. მე თითონ გაამბობ ყველა-
ფერს, როცა მოგსულიერდები, გული საუბლეს მექნება...

განა ივლითს არ უნდოდა საიდუმლოს გაზიარება რაისასა-
თვის, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ გაემ-
ყვანებინა თვისი საიდუმლო, მით უფრო, რომ ეხლა ის აღარ
იყო რაისას ტოლ-ამხანაგი. ის აღარ იყო ის ქალწული
ივლითი, რომელიც ისეთი განუყრელი მეგობარი იყო იმისი.
რატომ, რისთვის შეწყდა ეს კავშირი, თითონაც არ იცოდა
კარგად, თითონაც ვერ გამოერკვია ნათლად, მხოლოდ ივ-
ლითი გრძნობდა ამას.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, — მოჰყვა ივლითი ცო-
ტა სიჩუმის შემდეგ, — მე და შიმოს კავშირი უფრო და
უფრო გამაგრდა, ჩვენ უფრო დაეუახლოვდით ერთმანეთს.
არათუ არ ავშლილვართ, უფრო დავმეგობრდით, უფრო
შევიყვარეთ ერთმანეთი.

— განა პატარა და დიდი სიყვარული შეიძლება? —
გულუბრყვილოდ შეეკითხა რაისა. — სიყვარული ხომ ერ-
თია და მხოლოდ მძლავრი?

— კი, გენაცვალე, მაგრამ ზოგიერთი სიყვარული ნაყოფს
გამოიღებს ხოლმე და ზოგიერთი არა. ჩვენმა სიყვარულმა
ნაყოფი გამოიღო, იგი განხორციელდა იმდენად, რომ ამიე-
რიდან მე და შიმო ერთნი ვართ, ერთსული და ერთხორცი...

კიდევ ბევრი გადაკრული უამბო ივლითმა რაისას, მაგ-
რამ ამ უკანასკნელის ცნობის მოყვარეობა მაინც დაუკმაყო-
ფილებელი დარჩა და ის თავჩაღუნული, თითქოს დალონებუ-
ლი, ივლითის ამ რიგის ცვლილებით, უნისაკენ დაბრუნდა.

დღე იწურებოდა, ჩამავალი მზე ცალის ყურით და ის-
მენდა დედამიწის ამოებებს და ცალის თვალით და უცქერდა
თავის მოწითალო სხივებით გაშუქებულ არე-მარეს. დიდს
შარა გზაზე მწყემსები პირუტყვს მიერეკებოდნენ. ტყის პა-
ტარა ბილიკით ნელის ნაბიჯით მიდიოდა ივლითი. მიდიო-
და ტყის განაპირა მდგომ სამ მუხისკენ, სადაც შიმოს დაუნისა
შებვედრა. არა ჩქარობდა, რადგან ხედავდა, რომ ჯერადრე იყო,
შიმო შებინდებამდე არ გაჩნდებოდა. ივლითს პირი დასავლეთი-
საკენ ჰქონდა, საიდანაც ჩამამავალი მზეც ოდნავ იცქირებო-
და და ნელი ნიავიც გზას იკვლევდა, ივლითის გულმკერდი
დღევისაგან ისე აღი-ჩადიოდა, თითქოს ნიავეთან შეთანხმე-
ბულად მოძრაობსო. იმის შეწითლებულს თეთრ ლოყები
ამშვენებდა საფეთქლებიდან მომდინარე წაბლისფერი ორი
პატარა ნაწნავი, იმის დიდრონ გიშრისფერ თვალებს რაღაც
უცნაური გამომეტყველება ემჩნეოდა და ისეთის სისწრაფით
მოძრაობდნენ, თითქოს შიგ რაღაც ძალი ტრიალებსო. აბრე-
შუმის ფართო თავსაფრის კალთებს ნიავეზე ფრიალი გაჰქონ-
დათ, სწორედ ისე, როგორც ხშირ-ტოტებიან მუხნატის

შტოებსა და ფოთლებს. მისი მოხდენილი, ალვის ხის მსგავსი ტანი ოღონდ ირხეოდა მკლავის ოდენა ორ ნაწნავ ქვეშ. თაღი ფერი კაბის ქვედატანი, ფრად სადად შეკერილი, ზედ შემოპკროდა იმის განიერ თეძოვს და აშკარად ახასიათებდა ამ ცხრაშეტი წლის ქალის აგებულობის სიმშვენიერეს.

მზისაგან მიტოვებულ დედაპიწას სიბნელე დაეპატრონა, მაგრა ჩასკიდა ხელი და მხედველობა შეუხუთა. მხოლოდ შაღლიდან გადმომდგარ წვილ მნ. თობთა შორეული სხივები ებრძოდნენ ამ წყვილადს.

შიმო მარჯვენა მხარეთეძოზე წამოწოლილიყო. ივლითი იმის წინ იჯდა გაბიბინებულს მწვანეზე და თავით შიმოს გულზე მიწოლილიყო. მუხნარი ნელის ხმით შრიალებდა, თითქოს, სიბნელით შეშინებული, ჩვეულებრივს ხმაურობას ვერა ჰბედავსო. შიმოს მარცხენა მკლავი ივლითის კისერს ევლებოდა, არც ერთს ენა არ ემორჩილებოდა. ორივე ალერსით შქერმეტყველობდა. მხოლოდ ვარსკვლავები შესცქეროდნენ თვალგაფაციცებით შეყვარებულთა ყოფას, თორემ სხვა მოწამე მათ არა ჰყავდათ. ცის მნათობნი არა ერთხელ ყოფილან ამგვარ სანახაობის მოწმენი და ერთხელაც არ დაურღვევიათ სიყვარულის საიდუმლო, მხოლოდ იმ გრძნობით აღტაცებულნი, რომ იმათ სხვებსაც შეუძლიანთ სიყვარულით აღფრთოვანება, იცოდნენ. ციციკებდნენ, ჰარობდნენ, ლალობდნენ, თვალებს პარილებდნენ. კრებული უკვე მაღალზე იდგა და მგალობელთა გუნდით ჩამწყვირებულიყო. ხან და ხან ივლითის სმენას მაღლიდან რაღაც ცრური ხმები ეწვეთებოდა, თითქოს ვარსკვლავთა კრებაც მონაწილეობას იღებს იმის ბედნიერს წუთეშიო.

უსახლგრო და განუზომელი დრო თავისას არ იშლიდა, რიგრიგად აბარებდა თავის განუშორებელს მგზავრს ისტორიას ამ სიაბტკბილობის წუთებს, რომელნიც არასოდეს არაფერს შემთხვევაში აღარ განმეორდებდნენ.

აგერ აღმოსავლეთს აღიონის მკრთალი ნათელი მოეფინა. მხოლოდ მისს არემარეზე მყოფი სიბნელე კულამოძუებული უფსკრულისაკენ მიიშალა, რად-

გან აშკარად ჰხედავდა თავის დაბრმავებულის თვალთ, რომ დიადის მნათობის სინათლის წინ არ დაეღვამებოდა. ნიაფი ჩადგა. ახლად გაღვიძებულ ჩიტების კიკიკ-გალობაზე მცენარეებმა ყურები აცქვიტეს. იელ ნაჰამ თხასავით თვალზე გაშტერებულ შაბუმ ერთი გზადაბნეული მესწეულა შესანსლა, „ტუვიტ“ დაიძახა და ბებერს მუხის ფულუროს მიაშურა. მოლაღურმა შტოდან შტოზე ხტუნვით „ბიკო გოგიელო“ წამოიძახა, კოდალო-შაც კანაბურძენულ მუხას ისევ დაუკუნა, თითქოს შეყვარებულთ ზარი დაურეკა, დროა გზას გაუდგეთო.

მართლაც, შიმო და ივლითი ერთმანეთს ტკბილად ჩეკონენ და თვალცრემლიანი ივლითი ძველი გზითვე უკან დაბრუნდა, ხოლო შიმო თავის გზას გაუდგა. ვინ იცის, რა აზრები უტრიალებდა თავში ამ ახლად მოვლენილს დაჯაბნეზულს ხალხისწინამძღოლს, ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დაუღალავ მქადაგებელსა და ბატონ-პატრონების დაუძინებელ მტერს? ვინ იცის, სად რა ხიფათი მოელოდა და რომელსა და რა გზით დაგებულს მახეს მოეგდო ხელთ მისი დაუცხრომელი მხნობა, დაუშრეტელი რწმენა და სასოება? თითონაც არ იცოდა. და ცოდნასაც არა ჰქონდა. მხოლოდ იმას აშკარადა სკვრეტდა თავის გამჭრიახი გონებით და შორს მხედავის თვალებით, რომ მტერიც მოუსვენრად მოძრაობდა, საკანს ამზადებდა.

დღე, ჩემი პირადი ცხოვრება მტლედ დაედოს გაქირვეზულ ხალხის კეთილდღეობას! ეგებ ჩემს მიწაში მდებარე ძვლებ-

ზე აღმოცენდეს მთელი ახალი თაობა დაჩაგრულ-აწიოკებულ ხალხის გულშემატკივართა და, თუ მე არა, იმათ მაინც ხოცონ პირისაგან ქვეყანისა სიძულვილი, ბოროტება და ხალხის ძვალბილის მხრხნელი უსწორ-მასწორობა“, ეტყოდა ხოლმე ის ერთ-ორ გულშემატკივარ გამაფრთხილებელს.

შიმო ნელის ბიჯით მიდიოდა.

დღითი დღე ვრცელდებოდა ურიათა ქვეყანაში შიმოს ახალი სწავლა-ქადაგება. დღითი-დღე იკრიბებოდა იმის სახლის ირგვლივ მეტი და მეტი მომხრე და თაყვანისმცემელი. უკვე გაუჩნდა მრავალი მოწაფენი. ბევრი თავზე და სინდისზე ხელაღებული ვერაფე მოარჯულა თავის უკვდავისა და ქეშმარიტის სწავლით. ისეთის გარკვევით, ყველასათვის გასაგების ენით, უბრალოდ, გულუბრყვილოდ და მასთან თავგამეტებით და დაულაღვად ავრცელებდა ქეშმარიტებას, რომ მსმენელთ მყ-სვე ჰხიბლავდა. ხალხის ნებისა და პიროვნების გათელველს ჯგუფს ისეთის სიმკაცრითა ჰკიცხავდა, რომ მსმენელთ ტანში ერთხანტელსა ჰგვრიდა. სულ უბრალო მაგალითებით უმტკიცებდა მათ შიმო ისეთ ქეშმარიტებას, რომელიც არც ერთს მათგანს აქამდე აზრადაც არ მოსვლია. დღემდე მძლავრად გამეფებულ ძალმომრეობის ხანას ის იყო ბოლო ეღებოდა შიმოს მოძღვარების ძალითა და აუცილებლობით. პაპიდან შვილიშვილზე და მამიდან შვილზე გადმონაცემ მოარჩილებას უფროსთა წინაშე, ყმობისა და ერთი მუჟა ბატონების თვითნებობის მონურად ატანას დღეიდან შიმოს მძღვარ ლოლიკის მეოხებით ბოლო ეღებოდა. მხედართ



სპარსეთის ცხოვრება.


სკოლა სპარსეთში. მასწავლენი თავიანთ მასწავლებლებით.

თხოზდა მაღალის ღვთის საბელით მონობისა და ძალმომრეობის მქადაგებელნი ძრწოდნენ და შფოთავდნენ. მთელის ხალხის წინააღმდეგ მომქმედთა ჯგუფი ზარდაცემული ჰკრთოდა, არ იცოდა, რა წინააღმდეგობა გაეწია ამ მოულოდნელად მოხეტქილს ტალღისათვის და კარჩაკეტილი უიმედობით იტანჯებოდა. ვერ ჩაფიქრებოდნენ, ვერ გამოარკვეულიყვნენ, რომ ჯერ კიდევ მძლავრია ამ ხალხში უმეტარების და შეუგნებლობის ნიადაგი, რომ მცირედი ძალ-ღონის მოხმარებაც კმაროდა, რომ ძველებური წეს-რიგი ჩვეულებრივს კალაპოტში ჩამდგარიყო.

ეს მხოლოდ ხალხის ძველმა მოძღვრებმა შეიგნეს და შეჰქმნეს თათბირი. სჯულის მასწავლებელნი მხედართ მთავრებთან ხელჩაკიდულნი შეუდგნენ მეცადინეობას. გამოსძენეს ცრუმოწამენი და ქეშმარიტების მოღალატენი, რომელთაც თავს იდვეს შიმოს სახელის წაბილწვა, მისი სწავლა-მოძღვრების გათახსირება. შიმო, ღვთისაგან დაწესებულ-ნაანდერძვის უმცროს-უფროსობის წინააღმდეგი, შიმო, თვით მაღალ ღმერთის მგმობელი, რაღაც სინიღისს წინ უყენებს თავის მოძღვრებას და ღმერთზე ხალხს ხელს აღებინებსო. ღვთის მსახური იმის ქადაგებით ეშმაკის მოსამსახურედ იხატება, ქვეყნის მმართველნი ხალხის მტრად და ბატონ-პატრონი მის მყვლეფელოდაო. აღარ ჰსუფევენ მისთვის არც წმიდანები და

არც წინასწარმეტყველნი. იბილწება ღვთისაგან დაწესებულ ოჯახის სიწმინდე. შიშო ჰქადაგებს თავისუფალს სიყვარულზე, თითქოს კურო-მოზერობა ღვთისაგან დაწესებული წესი იყო. იგი შვილების აღზრდასაც რაღაც საზოგადოებას ავალღებს და არა მშობელ დედ-მამას. ვისი მსახურიც იქნება ჩემი შვილი, იმანვე იკისროს იმისი აღზრდაცაო,—ამბობს იგი. როგორადაც მე არ მოვსწრებივარ დედ-მამას და აგრეთვე მრავალი თქვენთაგანიო, აგრეთვე არც ჩვენ მოგვესწრება ჩვენი შვილები და რატომ ჩვენ და არა საზოგადოებამ უნდა ივალღოს იმათი აღზრდაო. ამას გარდა, ყოველ დროს თავის მოთხოვნილობა აქვს, ჩემი შვილის დროის მოთხოვნილებებს კერძოდ მე ისე ვერ ვავითვალისწინებ, როგორადაც მთელი საზოგადოება და ამიტომაც თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს იმის აღზრდა, რომელიც იმის სამსახურისათვის მზად-

ხმებოდეს და არ იწვევდეს თქვენის სინდისის წინააღმდეგობასაო. ისურვეთ მეზობლისათვის ის, რაც თქვენთვისა გსურთ, მოსპეთ ურთიერთ შორის მტრობა, ქიშპობა, თვალთმაქცობა, გაკიცხვა, განკითხვა, წამხედურება, ლალატი, შურა, ღორმუცლობა, მტაცებლობა, განცხრომა და ფუფუნება. შეიყვარეთ მოყვასი, როგორც თავი თვისი. ყოველივე თქვენს ნამოქმედარს სარჩულად სიყვარული დაუდეთ და ღმერთიც თქვენთან იქნებაო. ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, რადგან ყოველივე დღის იქითისათვის დამზადებული ლუკმა უთუოდ ზედმეტი და ყოველივე ზედმეტი ერთისათვის მეორის დანაკლისიაო. ზედმეტი ლუკმა ჰრყენის ხორცსა და სწმენდს სულსაო. მიწა, წყალი და ჰაერი არ შეადგენს ვისიმე საკუთრებას და ყოველ ამების მესაკუთრე უთუოდ მონობის მქადაგებელიაო, ხოლო მონობა დაწყველილია მაღლა ღვთისაგან და დაბლა



ჰაეროკლანების გაჯიგრება იოგანისტიში.

ამ გაჯიგრებაში მონაწილეობას იღებდნენ ბლერიო, რაიტი, ლატამი და სხვა ჰაერში მფრინავნი.

დებო, — გაიძახის ახლად მოვლენილი წინასწარმეტყველი. ნუ-გინდათ ნურც თორა, ნურც სხვა სალოცავიო. ღმერთი თქვენ გულში ატარეთ და, რასაც წმინდის სინდისით განიზრახავთ და იქმთ, საცა უნდა იყოთ, სალოცავიც იქ გექნებათო. ღმერთთან შუამაფალი არაფრად ღარსო და ყოველივე სინდისთან შეთანხმებული მოქმედება თავისთავად ღაღადებს ღვთის წინაშეო. იწამეთ ღმერთი, რომელიც არა თხოულობს არც სასყიდელს, არც განსჯას, არც მიტევებას ცოდვათა, არამედ რომელიც მარტოდ-მარტო კაცის სინდისს და მისს წრფელ განზრახვებს განაგებსო. ნუ გინდათ ნურც მსაჯული, ნურც სხვა მოხელე, რომელნიც ძალას ატანს თქვენს ღვთიურს სინდისს და წაღმა სახნავს უკუღმა განწევინებთო. ნუ გვამთ იმ მოძღვართა ქადაგებანი, რომელნიც მცნებებად აღიარებენ დახვედბულს წიგნებში ნაწერს და დროგადასულ მოძღვრებას მცნებებისა და კეშმარტების სახელით ასაღებენო. ნუ დაატანთ ძალას ნურც სხვას, ნურც თქვენს თავს, იმოქმედეთ ისე, რომ თქვენი საქციელი აღამიანის ბუნებას ეთან-

კაცთაგანაო. მამაპაპათა ცხოვრებას პირი უკუაქციეთ, აწმყოს დაუვირდით და მომავალს პირნათლად შეჰხედეთო. მკვდრებზე ზრუნვა მკვდრებსვე მიუგდეთ და თქვენი ძალა, ღონე და მხნეობა ცოცხლებს მოახმარეთო. თეთრი და შავი ძვალი, წითელი და შავი სისხლი ბოროტის მოგონილია და ღვთის წინაშე ყველა ხორცშესხმული ერთსა და იმავე ბუნების აუცილებელს კანონზეა შექმნილიო. ვინ იცის კიდევ, რა დარა თავხედობას სჩადის ეს ღვთის მგმობელი ცრუ მოციქულიო, — ამბობდნენ სჯულის მასწავლებელნი და მათი მომხრენი....

ყოველივე მათი ნათქვამი უფლებით შემოსილთ გულში მახვილად ხედებოდა და ნაღველს უდიდებდა.

შიშო კი თავის გზით მიდიოდა.
(დასასრული იქნება)

ივ—ლი.

